2023 წლის 24 აგვისტოს ვახუთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ნომერში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, კულტურის სამინისტრომ, კულტურის ფონდმა, მეგობრებმა გამოხატეს ღრმა მწუხარება გამოჩენილი მხატვრის თეიმურაზ გოსაძის გარდაცვალების გამო. განუყოფელი ხელწერით შექმნილია შემოქმედებამ მას გამორჩეული ადგილი დაუმიჯნა ქართული მხატვრობის ისტორიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებისა და ხელოვნება ახალი თაობების აღზრდის საქმეში. „სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, თ. გოსაძემ 1965 წელს პირველი ნამუშევარი „ლურჯა ცხენები“ საგანგებო გამოფენაზე წარადგინა, რამაც მხატვარს დიდი პოპულარობა შეუქმნა. იგი სხვა მხატვრებთან (კ. ივანოვი, გ. ალექსი-მესხიშვილი, თ. ჩხარტიშვილი) ერთად ბურჟუაზიული ხელოვნების აპოლოგეტად შერაცხეს. მანამდე კი იყო წინააღმდეგობებით აღსავსე დღეები. საქართველოს მხატვართა კავშირის ყრილობაზე ახალგაზრდა თემო გოსაძემ გაბედა და ხმა აღიმართა და შეეხებო იმ ეპოქის აკადემიაში დასადგურებულ მანკიერი სწავლების მეთოდოლოგიას, რამაც აკადემიურ საზოგადოებასთან მისი მწვავე

დაპირისპირება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის წინააღმდეგ საკავშირო ინსტანციებში მიძიმე ბრალდებების შემცველი წერილები გაიგზავნა, საქართველოს იმუამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით მხატვრის შემოქმედებას გზა გაუხსნა.

1976 წელს ეროვნულ გალერეაში მოეწყო თემო გოსაძის პერსონალური გამოფენა, რაც საქართველოს ცენტრალურ საგამოფენო სივრცეში ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედების წარმოჩენის პირველი პრეცედენტი იყო. შემდგომში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მხატვრის არაერთი წარმატებული პერსონალური გამოფენა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ 1989 წელს მან მონაწილეობა მიიღო კულტურის ცენტრი.

თემო გოსაძის ფერწერაში მთავარი ადგილი უჭირავს მითოლოგიურ სიუჟეტებს, სიმბოლურ ნატებს, პატრიოტულ თემებსა და აბსტრაქციებს. შექმნილი აქვს დიდი ფორმატის მონუმენტური ხასიათის ფერწერული ნამუშევრები.

1968-1983 წლებში იყო საქართველოს ტელევიზიის ჯერ დამფუძნებელი, შემდეგ მთავარი მხატვარი. 1983-1995 წლებში — მხატვრის სახლის დირექტორი. 1983-1988 წლებში — საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, 1988-2005 წლებში გახლდათ საქართველოს სამუსიკო-საგამოფენო გაერთიანების — სურათების ეროვნული გალერეის ვენერაბული დირექტორი, საიდანაც იგი, მრავალთა მსგავსად, რასაკვირველია, დაითხოვეს, რადგან აღმოჩნდა ნაციონალური სისხლიანი რეჟიმის, ფსევდო-დემოკრატიული ხელისუფლების — „ვერდირსებით აღწვევულთა“ მიერ შედგენილ „ჩარეცხილთა“ სიაში...

თემო გოსაძის თაოსნობით 1988 წლის 4 სექტემბერს, არსებული ფონდების ბაზაზე შეიქმნა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუსეუმი, რომელმაც როგორც პოლიტიკური პროცესების გამო მხოლოდ 11

თვე იარსება. აქვე მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ კულტურის სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას ახლო მომავალში ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის აღორძინება განუზრახავს.

უთუოდ უნდა ითქვას, რომ 9 აპრილის ტრაგედიისა და სამოქალაქო ომის პერიოდში სწორედ თემო გოსაძის საოცარი ძალისხმევით გადარჩა მხატვრის სახლის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ფონდები. შემდგომში მისი ძალისხმევით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეროვნული გალერეა, ორჯერ გაიზარდა საექსპოზიციო სივრცე. წლების მანძილზე თ. გოსაძე ნაყოფიერად ასწავლიდა თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, შემდეგ ეთაყიანებოდა სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. მხატვრის ტილოები დაცულია მსოფლიოს ცნობილ მუსეუმებსა და გალერეებში.



ვალერი ასათიანი, თემო გოსაძე, გურამ შარაძე.

უკანასკნელ წლებში მხატვრის რამდენიმე პერსონალური გამოფენა შედგა. გამოცემულია ბრწყინვალე ალბომი-კატალოგი, რომელშიც მართებულადაა აღნიშნული, რომ მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში, ე. წ. „დათბობის“ ეპოქაში, სახეცვლილი, მაგრამ მყარად შენარჩუნებული საბჭოური ესთეტიკის არსებობის პირობებში, ქართულ მხატვრობაში გამოჩნდა რამდენიმე ხელოვანი, ვინც დოკტორული ფარგლების გარღვევას და სოციალურ-პოლიტიკური ნატურალიზმის უარყოფას შეეცადა. ამ ძიებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თემო გოსაძის შემოქმედებით ჩამოყალიბებაში. მხატვარმა რეალობა მეტაფორულ-სიმბოლურად გაიზარა. თემო გოსაძის საჯარო გამოსვლები და მძაფრი პუბლიკაციები მეტყველებენ მისი აზროვნების ფართო დიაპაზონზე. მასაც, სხვა დიდ და ჩვენი დროის სახელოვან მამულიშვილებთან ერთად ერის წყლული აჩნდა წყლულად...

ერთი შეხედვით, ამ „მშრალი“ ბიოგრაფიული ფაქტების მიღმა დგას თემო გოსაძის მრავალისმომცველი ცხოვრება-მოღვაწეობა, შემოქმედებითი ძიებები, მუსიკო-უდრეკელი შრომა, შესანატრი ზრუნვა კო-

ლეგებზე, მათი წარმატებებით გამოწვეული სიხარული, სიასხვების დაპყვიდრება. და ეს მაინც არაა ყველაფერი...

სიტყვებში მას გულისტკივილიც არ მოჰკლებია, არაერთი ახლობელი დაკარგა, რასაც ძალზე განიცდიდა.

იგი საოცრად გატეხა წელში უპვირფესი მეუღლის, ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობის, უმწვენიერესი და უნიჭიერესი მარი ჯანაშიას გარდაცვალებამ... თემოს უთქვამს: „ერთი რომ გამოაკლდეს ჩვენს ერთობას, ერთად დავიღუპებით“-თ... მალე ასეც მოხდა...

თემო გოსაძე მუდამ იყო საზოგადოების ჯანსაღი აზრის, საკუთარი პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციის თამამად გამომხატველი, უღალატო კაცი, შეუდრეკელი მეტროპოლი უსამართლობის წინააღმდეგ, მრავალი ადამიანის საოცარი თანამდგომი შეჭირვების ფაქს. იგი ამშვენებდა და აღიერებდა ჩვენს საზოგადოებას. მან შინაარსიანად, მწიქფარე ცხოვრებით იცხოვრა და ვალდებულად აღესრულა. დატოვა შთამბეჭდავი შემოქმედება, შესანიშნავი შთამომავლობა. იგი უთუოდ ღირსეულად აღიბეჭდება ჩვენს ეროვნულ მენსიერებაში... როგორ ღარიბდება საქართველო, როცა ასეთი პიროვნებები მიდიან...

შეუძლებელია თემო გოსაძის დავიწყება!

ვალერი ასათიანი
აპაღამიძის



თემო გოსაძე მეუღლესთან მარი ჯანაშიასთან ერთად.



პირველი არხი 1TV.GE

რაილია ალიევა: არ გადავდგები, ვინაიდან შეურაცხყოფას არ მივწყენებ ჩემს ქვეყანას, როგორც კალიან მიყვარს!

საზოგადოების ერთმა ავტორმა განა-
ახლა გულიდან დაწვრილად კამ-
პანია, რისი მოთხრობა შეუძლებელი ხდება,
სხვათა შორის ვინაადა ჩემ მიმართ
წავსახეობის დასაბუთება და დის-
კრედიტაციას, – ამის შესახებ საქართვე-
ლოს პირველი არხის ჯგუფ „მრავალფე-
როვანი საქართველოს“ ხელმძღვანელი რა-
ილია ალიევა სოციალურ ქსელში წერს.
რაილია ალიევა აცხადებს, რომ რამ-
დენიმე თვის წინ მას და მისი თანამშრომ-
ლების მიმართ დაიწყო ეთნიკური ნიშნით
ტერორის კამპანია და დღემდე მიმდინა-
რობს.
„2017 წელს საზოგადოებრივ მაუწყე-
ბელში გაიხსნა პროექტი და პირადად მე
შევეცი საქართველოს მოქალაქე ეთ-
ნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი ახალ-
გაზრდები, შევეცი ქვეყნიდან, რომელიც
იმუშავებდა აზერბაიჯანულ და სომხურ-
ნოვანი მოსახლეობის ინფორმირებულ-
ობისთვის – მოამზადებდა, გადათარგმნი-
და აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე სა-
ქართველოში მიმდინარე ახალ ამბებს.
საიდუმლო არავისთვის წარმოადგენს,
რომ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე კონ-
ფლიქტის ფონზე საქართველოში მცხოვრებ
აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორისაც
გარკვეული დაძაბულობა არსებობდა.

აქედან გამომდინარე, ჩემთვის და ამ
იდეის მხარდამჭერებისთვის ძალიან მნიშ-
ვნელოვანი იყო, შევეცი სივრცე, სა-
დაც ეს ახალგაზრდა აზერბაიჯანელები გა-
თავისუფლებდნენ გარედან რაიმე სახის
ზეწოლებისგან, ბუღინებისგან და ერთმან-
ეთთან ექნებოდათ ჩვეულებრივი საქმიანი
და მეგობრული ურთიერთობა, როგორც
ერთი ქვეყნის მოქალაქეებს.
ასე დავიწყეთ ერთ ოთახში მუშაობა
და დღემდე ვაგრძელებთ.
ისიც უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯან-
ელი და სომეხი ახალგაზრდების ერთად
მუშაობისა და თანაცხოვრების იდეა ყვე-
ლასთვის მისაღები არ აღმოჩნდა და აზერ-
ბაიჯანელების მხრიდან საკმაოდ დიდ ზე-
წოლას განიცდიდნენ იმის გამო, რომ მე-
დავდნენ და აზერბაიჯანელები და სომეხები
ერთად მუშაობდნენ.
ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგმა ამ წნეხს
ვერ გაუძლო და მუშაობას თავი დაანება.
დღეს ამ გუნდში დარჩნენ ადამიანები,
რომლებიც არიან საქართველოს კეთილ-
სინდისიერი მოქალაქეები და რომელთა
მსოფლმხედველობაც გულისხმობს მშვი-
დობისთვის ხელშეწყობას ქვეყანაში და
მთლიანად რეგიონში.
სამწუხაროდ, რეგიონში ვითარების გამ-

წვავების პარალელურად, საზოგადოებ-
ის ერთმა ჯგუფმა განაახლა ბუღინების
ზღვარსგარეშე კამპანია, რისი მოთ-
ხრობა შეუძლებელი ხდება.
სხვებზე უფრო პირადად ჩემ მიმართ
წვევა ეთნიკური ნიშნით ტერორს და დის-
კრედიტაციას! ახდენენ საქართველოს მო-
ქალაქეების სელექციას მათი ეთნიკური
და რელიგიური წარმომავლობის მიხედვით
და დაუფარავად ცდილობენ მათ შორის
კონფლიქტის გაღვივებას. პირდაპირ გვე-
მუქრებიან, რომ ეთნიკურად სომეხმა და
აზერბაიჯანელებმა ერთად მუშაობა აღ-
არ გავაგრძელოთ.
მე მინდა, მივმართო და ვკითხო მთელ
საზოგადოებას, რას ნიშნავს, როდესაც ად-
ამიანების ერთი ჯგუფი ეწვევა საქართვე-
ლოს მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით სე-
ლექციას და ბუღინებს?! ჩვენ ვინ დავვი-
ცავს?! ნახეთ, ამ ჯგუფის წევრთა ფეის-
ბუკგვერდები და ნათელი გახდება მათი
მსოფლმხედველობა.
ასევე მივმართავ ამ ჯგუფის წევრებ-
საც და პირდაპირ ვეტყვი, რომ არ გა-
დავდგები და გავაგრძელებ იმ საქმეს, რა-
საც აქამდე ვაკეთებდი, რისიც მჯერა. რად-
გან, მათგან განსხვავებით, საქართველო
ჩემი სამშობლოა, საქართველო მიყვარს!
ჩემს თანამოქალაქეებს, თანამშრომლებს

და მეგობრებს ეთნიკური და რელიგიური
ნიშნით არ ვყოფ და ყველაფერს ვილო-
ნებ, რათა საქართველოში არ მოხდეს კონ-
ფლიქტი სომხებს და აზერბაიჯანელებს შო-
რის, რასაც აღნიშნული ძალები ასე გულ-
დასმით ცდილობენ.
ასევე მივმართავ საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს, საქართველოს უმ-
იწროების სამსახურს, საქართველოს მთა-
ვარ პროკურატურას, რომ მიიღონ შესა-
ბამისი ზომები, დაიწყოს გამოძიება აღ-
ნიშნული ორგანიზაციისა და მისი თავმჯდო-
მარის მიმართ, ვინაიდან საფუძვლიანი გან-
ცდა მაქვს, რომ მე და ჩემს თანამშრომ-
ლებს რეალური საფრთხე გვემუქრება.
ჩვენსავე ქვეყანაში გვიკრძალებენ მუშა-
ობას და გვემუქრებიან ჩვენი ეთნიკური
წარმომავლობის გამო.
რაც შეეხება ამ ჯგუფის მოთხოვნას,
თურმე იმით უნდა გადავდგე, რომ წარ-
მოშობით აზერბაიჯანელი ვარ – კატე-
გორიულად ვაცხადებ, რომ არ გადავ-
დგები!
დაიხ, არ გადავდგები! ვინაიდან ამ მი-
ზემით გადადგომით მე შეურაცხყოფას მი-
ვაყენებდი ჩემს ქვეყანას, რომელიც ძა-
ლიან მიყვარს, ჩემი ქვეყნის კანონმდებ-
ლობას და ტრადიციებს, რასაც დიდ პა-
ტივს ვცემ, შეურაცხყოფას მივაყენებდი ჩემს
ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ, ქურთ,
აფხაზ, ოს, უდიდელ და ეზრავლ მეგობ-
რებს, რომლებიც ეთნიკური ნიშნით არ-
ასდროს განმისხვავებია. შეურაცხყოფას
მივაყენებდი საზოგადოებრივ მაუწყებელს,
სადაც არასდროს მივრძენია, რომ ეთნი-
კური ნიშნით ვინმე განესხვავებინათ და
ამაზე მინიშნებას კი უხერხულოდ ით-
ვლებია.
აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ად-
ამიანის დაკავებული პოზიციიდან სხვაგან
გადაყვანა მისი ეთნიკური წარმომავლობის
გამო ეწინააღმდეგება ევროპულ კანონ-
მდებლობას.
ასე რომ, გავაგრძელებ რასაც ვაკე-
თებდი და ყველანაირად ვეცდები, საქარ-
თველოში ეთნიკური კონფლიქტების გაღ-
ვივებას ხელი შეუშალო.
ვარ ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მუს-
ლიმი, ქალი, საქართველოს მოქალაქე,
ასე ვიქნები, ვიდრე ცოცხალი ვარ და ამაზე
უარს ვერანაირი მუქარა ვერ მათქმევი-
ნებს!

უძრავ ქონებაზე დედაქალაქში მოთხოვნა შემცირდა, მის შემოგარენში კი გაიზარდა

თბილისში 2023 წლის აგვისტოში საცხოვრებელი
ბინების რეალიზაცია შემცირდა. ზაფხულის ბოლო თვეში
დედაქალაქში 3420 ბინა გაიყიდა, რაც გასული წლის
აგვისტოსთან შედარებით 10%-ით ნაკლებია.
„ქოლიერს ჯორჯიას“ მიერ ჩატარებული საცხოვრე-
ბელი უძრავი ქონების განახლებული მიმოხილვის მი-
ხედვით, ბაზრის ზომა 8%-ით, 187 მილიონ დოლარამ-
დე შემცირდა.
მათივე მონაცემებით, აგვისტოში გაყიდვები როგორც
ახალ, ასევე ძველ პროექტებში შემცირდა. კერძოდ ახალ
პროექტებში ტრანზაქციების 6%-იანი კლება დასტურ-
დება. ძველ პროექტებში კი, 2022 წლის აგვისტოსთან
შედარებით, მაჩვენებელი 18%-ით შემცირდა.
სეგმენტის მიხედვით, თბილისში ახალაშენებულ ეკ-
ონომიკურ ბინების მიხედვით მოთხოვნა 9%-ით შემცირდა,
მედიუმ სეგმენტში კი მაჩვენებლის მხოლოდ 1%-იანი
კლებაა. რაც შეეხება პრემიუმ სეგმენტს, ტრანზაქცი-
ების რაოდენობა არ შემცირდა.
რაც შეეხება ბინების ღირებულებას, აღნიშნულ პე-
რიოდში თბილისის გარეუბნებში ახალაშენებული ბინე-
ბის საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი 8%-ით გაიზარდა,
ფართო ცენტრსა და ქალაქის ცენტრში კი 3%-იანი კლება
გამოვლინდა.
„რიქოვ ჯი“-ზე განახლებული მიმოხილვის მიხედვით,
დედაქალაქში ძველი ბინების საშუალო შეწონილი გა-
საყიდი ფასი, როგორც გარეუბნებში, ასევე ქალაქის
ცენტრალურ უბნებში უმნიშვნელოდ გაიზარდა.
ბოლო დროს თბილისელთა შორის ახალი ტენდენ-
ციაა. დედაქალაქის შემოგარენში ცხოვრება უფრო აქ-
ტუალური გახდა და მოთხოვნა გაიზარდა. ბაზრის მო-
ნაწილეები ადასტურებენ, რომ ქალაქგარეთ ცხოვრე-
ბაზე მოთხოვნა გაიზარდა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ
თბილისში ცხოვრება სტრესული გახდა, საცობები, ეკ-
ოლოგიურად მძიმე ვითარება და ა.შ. რაც ბაზარზეც
აღეკატურად აისახება.



რასაკვირველია, დედაქალაქის შემოგარენში გააქტი-
ურებული მშენებლობა, მიწის ნაკვეთებსაც ნახტომისებურად
აძვირებს. თუკი თბილისში უძრავი ქონების ფასი ბოლო
1-2 წელიწადში 40-50%-ით გაიზარდა, ირგვლივ მდებარე
პრესტიჟულ დასახლებებში, ღირებულება გაორმაგ-
და და გასამაგდა კიდევ. უძრავი ქონების მოთხოვნის
მხრივ ბოლო დროს დედაქალაქს არ ჩამორჩება მათუ-
მიც, სადაც ასევე დიდ როლს თამაშობენ „ომის მიგრან-
ტები“. სწორედ მათი აქტიურობის შედეგად მოიმატა მოთხო-
ვნამაც და ფასმაც. მართალია, ბოლო კვლევა ტენდენ-
ციის შემცირებას აჩვენებს, თუმცა შავიბინების ქალაქში
უძრავი ქონების დინამიკა მაინც ძალიან მაღალია.
2023 წლის აგვისტოში მათუმი საცხოვრებელი ბი-
ნების ტრანზაქციების რაოდენობა გასული წლის აგვის-
ტოსთან შედარებით – 11%-ით, 1422 ერთეულამდე შემ-
ცირდა, ბაზრის ზომა კი 17%-ით შემცირდა და 56 მი-
ლიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათუმი 2023 წლის
აგვისტოში ახალაშენებული ბინების ტრანზაქციების რა-
ოდენობა 8%-ით შემცირდა, ძველი ბინების შემთხვე-
ვაში კი 41%-იანი კლება დაფიქსირდა.
აგვისტოში მათუმი ახალაშენებული მედიუმ სეგმენტის
ბინების ტრანზაქციების რაოდენობა 29%-ით შემცირდა.
პრემიუმ და ეკონომ სეგმენტებში კი მაჩვენებელი უმ-
ნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო ახალაშენებული ბინე-
ბის საშუალო შეწონილი ფასი 20%-ით გაიზარდა და
კვ/მ-ზე 984 აშშ დოლარი შეადგინა. ძველი ბინების შემ-
თხვევაში კი მაჩვენებელი მხოლოდ 3%-ით, 728 აშშ დო-
ლარამდე გაიზარდა.

მეორე სენატორი ქრთამის ალბის ბრალდების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა

ამერიკელმა ვეტერანმა სენატორმა, ზომ მენდეს-
მა ქრთამის აღების ბრალდების გამო, ამ საკითხის გა-
დაწყებაზე დროებით პალატის საგარეო ურთიერთობების
კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა.
იუსტიციის დეპარტამენტის პროკურორები ამტკიცე-
ბენ, რომ მენდესმა და მისმა მეუღლემ, ნადინ არსლა-
ნანამ ასობით ათასი დოლარის ქონება ევროპის მთავ-
რობისთვის დახმარების სანაცვლოდ მიიღეს.
„2022 წლის ზაფხულში ფედერალურმა აგენტებმა
მ-ნი მენდესის სახლში ჩხრევისას მექრთამეობის შე-
თანხმების შესახებ მტკიცებულებები იპოვეს. მათ შო-
რის 480 000 დოლარზე მეტი (390 000 ფუნტი) ნაღ-
დი ფული, რომლის დიდი ნაწილი ჩაყრილი იყო კონ-
ვერტებში და დამალული იყო ტანსაცმელში, კარაღებში
და სეიფში“, – აცხადებენ პროკურორები.
ისინი ამერიკელ სენატორს ასევე ქრთამის სახით ძვი-
რად ღირებული ოქროს ზოდებისა და მანქანების მი-
ღებაზეც ადანაშაულებენ. წყვილი ბრალდებას უარყოფს.
თავად მენდესი ამ ბრალდებებს პოლიტიკურად მო-
ტივირებულს უწოდებს.
„წლებია, კულისებში ძალები ცდილობდნენ ჩემს
გაჩუქებას და ჩემთვის „პოლიტიკური საფლავის
გათხრას“, – თქვა მან ვრცელ განცხადებაში.
69 წლის ზომ მენდესი კონგრესში 2006 წლიდან
მსახურობს. ნიუ ჯერსის კანონის თანახმად, თუ ბატონ-
ი მენდესი სენატიდან გადადგება, გუბერნატორი მისი
ვადის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, დროე-
ბით შემცვლელს და-
ნიშნავს. მაგრამ ნების-
მიერი შეფერხება გა-
დადგომასა და დრო-
ებით დანიშნავს შო-
რის, შეიძლება ხელის
შემშლელი იყოს დე-
მოკრატიებისთვის სე-
ნატში, რომელსაც ის-
ინი ერთი ადგილის
სხვაობით აკონტრო-
ლებენ.



სამსომხეთში ურთიერთობის მთავარ მიზანს ძველ დროში შთამომავლობის, ანუ ევგენიზმის, ესე იგი, ლამაზი და ჯანმრთელი ბავშვების გაჩენა წარმოადგენდა.

ცოლქმრული ინსტიტუტიც სწორედ ამაზე იყო აგებული, ამიტომაც მისი ინდივიდუალური, მნიშვნელოვანი დაწესებულ სამართლებრივ ნორმას უპირობოდ ექვემდებარებოდა. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ზოგიერთ მერძულ სახელმწიფოებში მერძობის გამო, რომელიც შვილის ყოლა არ სურდათ, საკანონმდებლო ბოძებზე კი ატარებდნენ (განსაკუთრებით მკაცრად ამას სპარტასა და კრეტაზე მიმართავდნენ, სადაც სახელმწიფო მოურიდებლად ეწეოდა ცალკეულ პირთა სქესობრივ ცხოვრებაში მკაცრი კონტროლი, სპარტელი კანონმდებელი ლიკურგი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ღირსეულ ვაჟუკაცებს აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ შვილები. კერძოდ: „ხანდაზმულ მამაკაცს, ვისაც ახალგაზრდა ცოლი ჰყავს, ნება ეძლეოდა სახლში მისთვის თავისი მოწონებული ახალგაზრდა, ჯანდასრული მამაკაცი მიეყვანა და შემდგომ ამ კეთილ თესილადან შობილი პირში თავის შვილად მიეჩინა. მეორე მხრივ, პატროსან მამაკაცს, თუკი იგი სხვა მამაკაცის ცოლს მისი ნაყოფიერებისთვის აფასებდა, ქმრისთვის მის ცოლთან ფიზიკური სიახლოვის დამყარების თხოვნის უფლება ჰქონდა, რათა მას შემდგომ კარგი, ჯანმრთელი ბავშვი გაეჩინა“).

საქმე ისაა, რომ ლიკურგს მიაჩნდა, რომ ბავშვები არა მამების, არამედ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ, ამდენად ისინი არა ნებისმიერ, არამედ საუკეთესო მოქალაქეთა შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ – დაახლოებით ისე, როგორც ჯიშთან ძალღებსა და ცხენებს მხოლოდ ასეთივე ჯიშის მფლობელნი აჯავრებენ, და არა ისე, რომ ჯანმრთელი, ლამაზი ქალები მათ პატრონებს გამოკვრილები ჰყავდნენ და არა მათ აკარებდნენ.

დაახლოებით ასეთივე აზრს გამოთქვამს სოკრატე: „განა შეიძლება კაცს უფრო დიდი უმედურება მოუვიდეს, ვიდრე ცუდი (იგულისხმება არაჯანმრთელი – ო.ტ.) შვილის გაჩენა? ამიტომაც არ კმარა, რომ ბავშვების მშობლები უბრალოდ კარგი ადამიანები იყვნენ, ამავე დროს, ისინი ახალგაზრდა ძალების აღმავლობის ხანაშიც უნდა იმყოფებოდნენ“.

კიდევ უფრო მეტად განავრცობს აღნიშნულ იდეებს პლატონი, რომელიც თხზულებების „სამთავრო“ აქსადებს: „ყველა ჯანსაღი და ლამაზი ქალი ყველა ასეთი (ღირსეული – ო. ტ.) მამაკაცის საერთო უკუთვნილება უნდა იყოს, მათგან არც ერთი არ უნდა იყოს ხშირად მხოლოდ ერთ მამაკაცთან... ასევე საერთო უნდა იყვნენ ბავშვები, თანაც ისე, რომ არც ერთმა მათგანმა არ იყოღეს თავისი მშობლის ვინაობა, მშობელმა კი, შესაბამისად, თუ რომელია მისი შვილი“.

მისი აზრით, საჭირო იყო საგანგებო ღონისძიებების დაფუძნება, რომლებზეც შეკრებდნენ პატარძლებს და სასიძოვებს, ქორწინებათა რიცხოვნობის დადგენა კი მმართველებს უნდა ჰქონოდათ დაკისრებული, რომლებმაც მათი ოდენობა უნდა განესაზღვრათ ომების, ავადმყოფობების და ა. შ. გათვალისწინებით, რათა სახელმწიფოში მამაკაცთა რიცხვი არც მეტი ყოფილიყო, არც, მით უმეტეს, ნაკლები. მრძოლებში გამორჩეულ მებრძოლებს კი რაც შეიძლება მეტი ქალის ყოლის უფლება უნდა ჰქონოდათ, რათა მეტი შთამომავალი დაეტოვებინათ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ევგენიზმის იდეების გარდა, პლატონი კომუნალური ქორწინების იდეასაც გამოთქვამდა, რომლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის ნათესაურ დამოკიდებულებათა გაუქმების მერე, დაახლოებით ერთი ასაკის ყველა ადამიანი სახელმწიფოში და-ძმად უნდა გამოცხადებულიყო და ამ გზით ვიწრო ნათესაური ურთიერთობები საზოგადოებაში ფართო, ორგანული კავშირებით უნდა ჩანაცვლებულიყო.

თუმცა ისიცაა, რომ თავის უკანასკნელ თხზულებაში „უანონებში“, პლატონმა, როგორც ჩანს, უარი თქვა საერთო ცოლების, ანუ მეფის მამაკაცის მეფე ქალთან სქესობრივი ურთიერთობის იდეებზე, რადგან ნაშრომის VIII წიგნში სქესობრივ ურთიერთობათაგან შედარებით თავშეკავებისა და მათი ფიზიკური ვარჯიშებით ჩანაცვლების რეკომენდაციით გამოდის, თანაც საამისოდ საკანონმდებლო ღონისძიებები შემოღების წინადადებასაც აყენებს.

მონოგამურობის ასეთი შემოტრიალების მიუხედავად, თავის „უანონებში“ ცოლ-ქმრობის ერთადერთ მიზნად, პლატონი კვლავაც შთამომავლობის ყოლას მიიჩნევს. ანალოგიურ მსჯელობებს სხვა ფილოსოფიური სკოლების წარმომადგენლებიც გამოთქვამდნენ.

რასობრივი ჰიგიენისა და ევგენიზმის თვალსაზრისით, პლუტარქეს თქმით, „შვილის აღსაზრდელად მართო მამის სურვილი სამართლის არ არის. (სპარტაში) მამას შვილი დათქმულ ადგილას, ეგრეთ წოდებულ „ლეიგზე“ უნდა მიეყვანა, სადაც თემის უხუცესნი მას გულდასმით ათვალთვნიებდნენ და თუკი ის მკვრივი აღზარდისა და ჯანმრთელი იყო, ცხრა ათასიდან ერთ-ერთ ხვედრს არ გუნებდნენ; ხოლო თუკი ის სნეული და სუსტი იყო, თავიგების მთის ხრამში ავადმდებდნენ: საქმე ისაა, რომ იმ დროში თუკი ადამიანი დაზარალებიდანვე სუსტი და სნეული სხეულის პატრონი იყო, მომავალშიც იგი საკუთარი თავისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც უსარგებლო ტვირთი იქნება. ამავე მიზნით, ბავშვის დაზარალებისთანავე, ქალები მას არა წყალობი, არამედ ღვიძლით აბანავებდნენ, რა-




პროსტიტუციის ისტორია

თა ჯანმრთელობის მდგომარეობა შეემოწმებინათ“. მი-აჩნდათ, რომ ეპილეფსიით დაავადებულნი, ანდა, ზოგა-დად, ხეულ ჩვილს, ღვიძლი გული მისდის, ჯანმრთე-ლი კი პირიქით, უფრო ღონიერდება და კაუჭდება.

ძველ რომში კი ასე სასტიკად არ იქცეოდნენ: „რო-მულმა თავისი ქალაქი ხალხმრავალი იმითაც შექმნა, რომ ბრძანა ყველა გაჩენილი ბიჭუნასა და პირველი გოგო-ნას აღზრდა; ვარდა ამისა, მან ასევე ბრძანა, არ დაეხოცათ სამ წლამდე არც ერთი ბავშვი, მათ შორის მახინჯიცა და ხეიმარიც, თუმცა კი ამ უკანასკნელთა თავიდან მოშო-რება ნებადართული იყო იმ შემთხვევაში, თუკი ამის თანხმო-ბას ხუთი მეზობელი მისცემდა“.

არასაუჩურობი შთამომავლობის ყოლის თავიდან აცი-ლების ხერხებიდან აღსანიშნავია ნაყოფის განდევნა (ა-ბორტი), მუცლის ხელოვნური მოშლა გეგმაქალებისა და მეძავეების დახმარებით, ჩასახვისგან ხელოვნურად თავის არიდება, სქესობრივი კავშირებისგან თავის შეკავება მენ-სტრუციამდე და მის შემდგომ უახლოეს დღეებში, ასევე ალკოჰოლიზმი, რომელიც ძველ დროში ქალებში მამა-კაცებზე მეტად იყო გავრცელებული. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთ მერძულ ქალაქ-სახელმწიფოსა



ლიკურგს მიაჩნდა, რომ ბავშვი-ბი არა მამების, არამედ სახელმწი-ფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ, ავადმდებლის არა ნებისმიერ, არა-მედ საუკეთესო მოქალაქეთა შთა-მოგვლები უნდა ყოფილიყვნენ.

და რომშიც, ექიმის დანიშნულების გარეშე, ქალებსა და ბავშვებს ეკრძალებოდათ სუფთა ღვინის მოხმარება. ლი-კურგმა კი სულაც თავისუფალ სპარტელებს მთვრალი იდი-ოტები (გლეხები – ო. ტ.) მიუყვანა, რათა ეჩვენებინა მათ-თვის, თუ რაოდენ სამარცხვინოა თრობა, თრობა მხოლოდ ადამიანთათვის ღვინის მშობელი ღვთაების (დიონისეს, ბახუსის) ღღესასწაულზე იყო ნებადართული.

ცოლქმრული ინსტიტუტის პარალელურად, ანტიკურ სამყაროში, როგორც აღვნიშნეთ, კანონით სანქ-ციონებული ანაცოლქმრული სქესობრივი ურთიერთობე-ბიც, ეგრეთ წოდებული „კონკუბინატი“ იყო დაშვებული, რაც თავისთავად მეტად პროგრესული ნაბიჯი იყო და ან-ტიკურ სქესობრივ მნიშვნელობას კა-ვშირის განწყვეტას ნიშნავდა. თუმცა



თუკი ბავშვი სნეული და სუსტი იყო, მამების მთის ხრამში ავადმდებდნენ.

ნანსიტური გარემოს მიერ ჩაღვნილ უა-რამ საშინელებათა უსასრულო ჩამონა-ვალში არის ასევე ის ფაქტი, რომ რაიხის ტერიტორიაზე საროსკიპოები საკონსენ-ტაციო ბანაკებში არსებობდნენ. რაიხს-ში-ურების ჰაინრიხ ჰიმლერის აზრით, ასეთ „ღაწისებულებას“... პატიმართა შრომის მხარმოხლოება უნდა აემაღლებინა.

1942-დან 1945 წლამდე პერიოდში, ოკუ-პირებულ ტერიტორიაზე მილიანად აამოქ-მელეს ათი ბორღელი, რომლებიც რამდე-ნიმე ათასმა ქალმა გამოიარა.

მას დიდი ზეგავლენა მინც არ ჰქონია, რადგან ორი სქესის დამაკავშირებელ სრულიად იზოლირებულ ელემენტად დარჩა, რომელიც ძველმეზურად ორმაგი მორალის სა-ფუძველს ემყარებოდა, რომლის არსი ქალისადმი, ინ-დივიდუალური სიყვარულისა და შრომისადმი პრინციპული ზიზღი იყო. ამდენად, პროსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ ძალად ის მინც ვერ იქცა.

კონკუბინატის ფორმებსა და სამართლებრივ ასპექ-ტებზე ნაწილობრივ წინა პუბლიკაციებში გვექნა ლა-პარაკი, ამასთან აღსანიშნავია, რომ სქესობრივი რეფორმის რომელიც იმპერატორის ავგუსტუსის კანონმდებლობას, ამ სფეროში კაცობრიობის ისტორიაში სრულიად განსვა-ვებული ადგილი უკავია. მისი პრინციპული პროგრესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ უკანონო შვილებსაც კი მემ-კვიდრეობის უფლებას ანიჭებდა...

მოამზადა ოთარ ტურაბაიძემ (გაზრდილმა იძნაბა)

მეორე მსოფლიო ომის დროს, პროსტიტუ-ცია მესამე რაიხში მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი: რეჟიმი არათუ არ კრძალავდა სა-როსკიპოებს, პირიქით, ყველანაირად ხელს უწყობ-და ჯარისკაცებს მათ მომსახურებით ესარგებლათ. ბორღელების ქსელი მთელ ოკუპირებულ ევ-როპაში იყო გავრცელებული და მოულოდნე-ლად კონტროლდებოდა.

ამასთან, სტატუსის მიხედვით, საროსკიპოები მკაცრად რეგლამენტირებული იყვნენ: რიგი-თი ჯარისკაცი ოფიცერთათვის განკუთვნილ ბორ-ღელში შესვლას ვერც გაბედავდა. ამ წესის დარღვევისთვის ათი დღე-ღამით პატიმრობა იყო გათვალისწინებული.

ცალკე საროსკიპოები იყო შექმნილი ავ-რეთვე სხვა ქვეყნებიდან იძულებით გადმოყ-ვანილი კვალიფიციური მუშების, სამოქალა-ქო პირებისა და საკონცენტრაციო ბანაკების პრივილეგირებული პატიმრებისთვის.

პროსტიტუტციისაღმ მიდგომის თვალსაზ-რისით, მსოფლიოში ცნობილია ე. წ. „გედუ-რი“ ანუ, როგორც მას კიდევ უწოდებენ „სკან-დინავიური მოდელი“, რომელიც 1999 წელს მიიღეს. მისი არსი იმაში მდგომარეობს მეძავობის აკ-რძალვაში, რა დროსაც ისჯებიან არა თავად მეძავეები, არამედ მათი კლიენტები. ამასთან, აკრძალულია როგორც სუტენირობა, ასევე ბორღელების ორგანიზება.

საერთაშორისო ორგანიზაცია Global Sla-very-ის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში დღეს-დღეობით დააცხლოებით 40 მილიონი მონაა, რომელთაგან 15,4 მილიონი იძულებით ქორწინებაში იმყო-ფება ან განუკითხავ სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდის. 40 მილიონ მონა-ში 71 პროცენტი ქალია, დანარჩენი – მამა-კაცი და ბავშვი. იძულებითი შრომის გარდა, ბავშვებსაც, ქალების დარად, პროსტიტუცი-ას აიძულებენ.

მონობა და ბავშვების სექსუალური ექსპ-ლუატაცია უფრო მეტად პაკისტანში, ჰაიტისა და მავრიტანიაშია გავრცელებული.

ტაბაზა

მსუყე ფინიში



ბაძოს მრანდ სლემის ბოლო საშეჯიბრო დღეს გურამ თუშიშვილი და ილია სულამანიძე ფინალში გავიდნენ, ხოლო გელა

ბალიშვილი მრინჯაოს მედლისთვის იმედოვნებს.

+100 კგ წონით კატეგორიაში თუშიშვილმა ტაჯიკი მანსურ რაჰმონი, რუსი თამარლან მამაიევი და ყაზახი ეირასილ კაყაბაიევი დაამარცხა, ფინალში კი რუს ინალ ტასოევს გაუეჯიბრება. ამავე წონაში მრინჯაოსთვის იმედოვნებს გელა ბალიშვილი, რომელმაც ნახევარფინალში ყაზახი ადრილ ორბაიევი, გერმანელი ერიკ აბრამოვი და აზერბაიჯანელი ჟამალ გამათანოვი დაამარცხა, ნახევარფინალში კი ინალ ტასოევთან წავიდა. მრინჯაოს მედლისთვის გელას მეტოქე მამაიევი იქნება.

100 კგ წონით კატეგორიაში ილია სულამანიძემ რუს ნიამ ბილალოვს, მრინჯაოს რის ტომპსონს და ხორვატ ბლატკო კუმრიჩს აჯობა, ნახევარფინალში ფრანგ ორელინ დიესეს სძლია და ისიც ფინალში გავიდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების აქტივში ბაქოს გრანდ სლეიშე კიდევ ერთი ვერცხლის მედალია, რომელიც ეთერ ლიპარტელიანიმ მოიპოვა.

გუმინ: ოქრო - ილია სულამანიძე, ვერცხლი - გურამ თუშიშვილი.


ხალიჩაზა

ზელიზელ მესაბელ

სარემთის დედაქალაქ მელგრადში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მერძულ-რომაულ ჭიდაობაში ლერი აბულაძე ფინალში გავიდა.

63 კგ წონით კატეგორიაში აბულაძემ ჯერ თურქი ენეს ბაშარი დაამარცხა 4:3, მერე უკრაინელ ოლექსანდრ ჰრუშინს აჯობა, ხოლო ნახევარფინალში ფრანგ სტეფან კლემენს 3:1 სძლია. შედეგად, იგი ფინალში იჭიდავებს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მისთვის მედიდელ მესამე იქნება. ლერის ფინალში დაპირისპირება აზერბაიჯანელ მურად მამადოვთან მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე მერძულ-რომაულ ჭიდაობაში



მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების აქტივში მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალია, რომელიც ნუგზარ ჯურჯუანიმ მოიპოვა, ბოლო გამომსვლელი კი ლერი აბულაძე იქნება. აღსანიშნავია, რომ გუნდმა ამ ჩემპიონატზე ოლიმპიური ლიცენზია ვერ მოიპოვა.

მსოფლიოს თასზე სასტარტო შეხვედრაში ავსტრალიისგან მიღებული ვაკევილის შემდეგ ორი კვირა ისე გავიდა, რომ მორჯულოსანთა მანაკიდან სიფრთხილუნარვეი ოპტიმიზმის ნორები ისმოდა. როგორც აღმოჩნდა, საესემით საფუძვლიანად.

საქართველო - პორტუგალია 18:18

პირველი ტაიმი 13:5
ლელო: ტაბუცაძე, ზამთარაძე.
გარდასახვა და 2 საჯარიმო: აბუანდაძე.

ზემოთ შემთხვევით არ მიგვიცხვია ყურადღება პირველი მატჩიდან გასულ დიდ დროზე - თუ გვერს ასეთი გაჯიანურებული დასვენება ძალების აღდგენაში დაეხმარებოდა, ლევან მასისაშვილის გუნდი, როგორც დაგრძელებული, პირიქით, რიტმიდან ამოვადლო. ეს უმთავრესად მეორე ტაიმზე ითქმის, რომელშიც მეტოქემ, რომ იტყვიან, გადავიარა და შესვენებამდე მიღწეული უპირატესობიდან აღარათფერი დაგვიტოვა.

ასეთი საოცარი მეტამორფოზის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უდავოდ პირენელოთა ფრანგი მწვრთნელის ლაჟისკეს ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც პირველი ნახევრის შემდეგ პროფესიულად გაშიფრა, თუ საიდან ემუქრებოდათ მის შეგირდებს საფრთხე და განახლებულ მრძოლაში პირიქითდად მოუგო ტაქტიკური დუელი თავის ქართველ კოლეგას.

არანაკლებ გასათვალისწინებელია სტატისტიკური მონაცემებიც, საიდანაც ადვილია დავასკვნათ, რომ, მართა-



ოვალური გურთი
ოსნაბათა
სასაფლაო
ლია, საერთო ჯამში სოლიდურად დაეწინაურდით - 18 მოგება, უკვე მე-4 ფრე და ამდენიმე წაგება, მაგრამ თითქმის ყოველთვის ლუბიტანიელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ჩვენთვის კერკეტ კაკლებად ჩამოყალიბდნენ. საილუსტრაციოდ მარშანდელი ფრის დასახელებაც კმარა. არის აგრეთვე კიდევ ერთი გარემოება მოტევაციის

სახით, რომელიც მეტოქეს მოჭარბებულად ჰქონდა - მას ხომ აქამდე უმნიშვნელოვანეს ფორუმზე ერთი გამარჯვებაც კი არ ჰქონდა მოპოვებული მაშინ, როცა ჩვენმა შტაბმა, ეტყობა, ბოლომდე სათანადოდ ვერ შეაფასა ლობუმების ძალა და მეტისმეტად გადახალისებული შემადგენლობით დაიწყო მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ თანდათან ტულუზის სტადიონზე ძირითადი ბირთვიც გამოჩნდა, ცხადი გახდა, რომ ჩვენს მატარებელს უკვე ჩაევილო და უფლის მადლობელი უნდა ვიყოთ, სამადლო ქულა რომ ჩავიჭერეთ სატურნირო ცხრილში.

სამწუხაროდ, ამით წერტილი დაესვა მორჯულოსანთა საპლეოლო პრესპექტივას. ეს ლოგიკურად, მაგრამ ხომ ხდება ხოლმე სასწაულები. საამისოდ ფიჭის და უელსს უნდა მოვევლოთ და... რატომაც არა?

იმავ დღეს გამართული რეიტინგის ლიდერთა ნაადრევი ფინალი ირლანდიელმა სამყურებმა 13:8 მოუგეს ჯერაც მოქმედ სამხრეთაფრიკელ ჩემპიონებს, რითაც სერიოზული განაცხადი გააკეთეს პირველი ტიტულის მოხვეჭაზე. სპრინგბოქსი ლიბოკმა დააღალატა, რომელმაც რამდენიმე საჯარიმო ვერ გაიტანა. რაც შეეხება ფორუმის მასპინძელ ფავორიტ ფრანგებს, მათ მწვრთნელ ვალტის სავალო ძვირად დაუჯდა ნამიბიასთან ძირითადი შემადგენლობით სარეკორდო ლაშქრობა - 96:0, რადგან დიუპონმა ყბა გაიტეხა, მის გარეშე კი სამფეროვანთა ნანატრი ტრიუმფი საკმაოდ სათუოდ გამოიყურება. **სტატისტიკა:** 2003 წ. ახალი ზელანდია - იაპონია 145:17(!).



ლეგიონერი

სეზონის სტარტზე

იშალაოის სუპერთასის ნახევარფინალში

თორნივე შენგელის ვირტუს ბოლონიამ

ჩემპიონი ოლიმპია მილანო 78:73 დაამარცხა და ფინალში გავიდა.

ბოლონიელებმა მეტოქეს ბოლო წუთებში აჯობეს და გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. თორნივე შენგელის 28 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მას თანაგუნდელთა შორის შედეგიანობით მხოლოდ მარკო ბელინელიმ აჯობა, რომელმაც 15 ქულა მიითვალა. ვირტუს ბოლონიამ ფინალში ბრუნდა და ტორტონას შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

ოქანის გაღვა

სრული კოლაქსია

მრან პრის ვათამაშება პარა ტაეკვანდოში გრძელდება და ქართველი სპორტსმენები მექსიკაში წარმატებით გამოდიან.

გიორგი ხიზანიშვილმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინალში მისი მეტოქეც ქართველი იყო და შესაბამისად ვერცხლს გოგა ხახალაშვილი დაეუფლა.

კიდევ ერთი მედალი კი ჩვენ ქვეყანას გიორგი ნიკოლაძემ მოუტანა. მან აღნიშნულ ტურნირზე მაღალი რეიტინგის მქონე პარასპორტსმენებს შორის იასპარეზა. ქართველმა პარა ტაეკვანდოისტმა მრძოლა პარალიმპიურ ჩემპიონთან დათმო და მესამე ადგილზე გავიდა.



ქარის ორბო

სხვის

ჯიბეში



სპორტი სპორტად, მაგრამ, მოგვხსენებთ, ბოლოს ყველა გზა მიწვევით ფინანსებთან მიდის, ამიტომ საინტერესოდ მიგვაჩნია ამერიკული ფინანსური გამოცემა ფორბისის მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული კლუბების რეიტინგი, რომელშიც თვალსაჩინოა ოკეანისგალმელთა უპირატესობა.

მაშ ასე, გაცხადებთ ტოპ 15-ის შემადგენლობას: დალას კოვბოიზი (ამერიკული ფეხბურთი), ნიუ იორკ იანკიზი (ბეისბოლი), გოლდენ სტიტი უორიორზი (კალათბურთი), ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი, ლოს ანჯელეს რემსი, ნიუ იორკ ჯაიენტსი, ჩიკაგო ბეარზი, ლას ვეგას რეიდერსი (ყველა - ამერიკული ფეხბურთი), ნიუ იორკ ნიქსი (კალათბურთი), ნიუ იორკ ჯეტსი (ამერიკული ფეხბურთი), მადრიდის რეალი (ფეხბურთი), ვაშინგტონ კომანდერსი (ამერიკული ფეხბურთი), მანჩესტერ იუნაიტედი (ფეხბურთი), სან ფრანცისკო 49 (ამერიკული ფეხბურთი), ლოს ანჯელეს ლივერსი (კალათბურთი).

აქვე გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ვეროპული საფეხბურთო ბობოლის პოზიციას: მანსელონა - მე-18, ლივერპული - მე-20, სიტი - 23-ე, ზაიერნი - 24-ე და პარი სენ-ფერმენი - 36-ე ადგილი.



ანაკლია კავკასიური პოეზიის საპრესოპრიტო ფესტივალს მასინკლობდა

ფესტივალში უკვე მეხუთედ ჩატარდა და ის აერთიანებდას კავკასიაში მცხოვრებ პოეტებს, მწერლებს, ეთნოგრაფიულ ანსამბლებს და შემსრულებლებს. ფესტივალის მონაწილეებმა, ჩერქეზთა გენოციდის მემორიალი გვირგვინით შეამკეს. ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა, სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას. კავკასიურ თემატიკაზე შესრულდა სხვადასხვა მუსიკალური ნომერი.

„საზაფხულო საყვანაილო კინოსკოლა“ ფოთში

ქალაქ ფოთში, წელს მეორედ განხორციელდა პროექტი „საზაფხულო საყვანაილო კინოსკოლა“. მასში, მიმდინარე წელს 11-დან 17 წლამდე 44 ფოთელი მოსწავლე ჩაერთო. ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.



„ქალაქის მერმა, ბეკა ვაჭარაძემ კინოსკოლის მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში გადასცა სერტიფიკატები. ახალგაზრდები ორი კვირის განმავლობაში ესწრებოდნენ ლექციებს კინოს ისტორიაზე, კინო-საოპერატორო ხელოვნებაზე, რეჟისურაზე, სცენარის წერასა და განვითარებაზე, მოკლემეტრაჟიანი სამოყვარულო ფილმის გადაღებაზე. საყვანაილო საზაფხულო კინოსკოლის ფარგლებში გადაღებული იქნა 5 დოკუმენტური ფილმი, რომელიც საერთაშორისო კონკურსებში მიიღებს მონაწილეობას.

ჩაქვი კალენობის საპარჯიშო ბაზის მუშაობა დასაწყისით ეტაპზე

– ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დღეისათვის ებოს და ინტერინის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტი პარკის მოწყობის პროექტს ახორციელებს. თანამედროვე სტანდარტების შენობაში სავარჯიშო, შეკრებების ჩასატარებელი სივრცეები და საკონფერენციო დარბაზი მოწყობა. პროექტის ფარგლებში სპორტულ ობიექტში სასტუმრო კომპლექსი განთავსდება.

ახალი სპორტული მოედანი და ჩაქვიანიული ზონა თელავში

7000 კვადრატულ მეტრზე მოეწყო სარბენი ბილიკი, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები, ასევე, ღია სავარჯიშო კომპლექსი და სკვერი. სამუშაოებისთვის ორ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.



სანთელი

არდაპინუა ნანა ჭკუასელი

როდესაც 1954 წელს თბილისის ვაჟთა პირველი სკოლა ქალთა პირველ სკოლასთან რომ შეერთეს, ჩვენ მე-6 კლასში ვიყავით და გაგხდით 47-ე სკოლელები.

რაოდენ გასკვირიც არ უნდა იყოს გოგონები ცოტა ცივად შეგვხვდნენ.

გოგონებს შორის ერთი გამორჩეულად ლამაზმა სქელ-ფერად ნაწნავიანმა გოგონამ გაგვიღიმა და დაგვიმეგობრა.

ეს ნანა ჭკუასელი იყო!

იგი მარტო კლასის კი არა, მთელი სკოლის საყვარელი, სამაგალითო მოსწავლე იყო. ყველას ესმარებოდა და ყველასთან მეგობრობდა.

ძალიან უყვარდათ მასწავლებლებსაც და მანაც პროფესიად შედაგოგობა აირჩია.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები. ჩვენი კლასი კი მაინც მეგობრობდა...

შარშანაც, 1 მაისს ერთად ვიზეიმეთ სკოლის დამთავრების 65 წელი. თუმცა ბევრი გვაკლდა, შემდეგ ნუნუ შავიშვილიც დააგვაკლდა.

ხვალ კი ჩვენს ლამაზ, ჭკვიან მზიარულ ნანა ჭკუასელს გაგვაცილებთ უკანასკნელ გზაზე.



მას გაყვება შვილების, ნათესავებისა და ჩვენი ცრემლიც, მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!

თბილისის
47-ე სკოლის 1959 წლის
მეათე მემორი კლასის
კურსდამთავრებული

გუშინდელმა მინისტრმა გპარინად შეგვხანხარა

24 სექტემბერს, დილით თბილისთან ახლოს მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა მიწისძვრის სიმძლავრე საკმაოდ ძლიერი იყო და მას უცნაური ხმაეც ჰქონდა, რაც სოციალურ ქსელში განხილვის საგანი გახდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი თეა გოდოლაძე განმარტავს,

რატომ ჰქონდა მიწისძვრას მსგავსი ხმა. მიწისძვრის დროს ხდება მიწის გარღვევა, რომელსაც საშინელი ხმა აქვს. ეს ხმა, ანუ მიწის რღვევის ხმა გავიგეთ დილით.

ცული შეგრძნებმა, ვიცი. რაც უფრო დიდია მიწისძვრა, ეს ხმა უფრო მძაფრია და ხანგრძლივი ეპიცენტრში, კიდევ კარგი, ერთი ერთეულით მეტი არ იყო.

ოზურგეთში 62 წლის მამაკაცს ბარყვნილებაში ეღება ბრალი

62 წლის მამაკაცს ბრალი არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ჩადენაში ედება. მეზობლები ურნალისტებთან არ საუბრობენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვანი გოგონა და ბრალდებულის ოჯახები ერთმანეთის მეზობლები არიან და აღნიშნული შემთხვევა მათთვის წარმოუდგენელი იყო.

ბრალდებული მამაკაცი, ჯერჯერობით, დაკავებული არ არის, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს. მომხდარზე საქმე აღძრულია სსკ-ის 141-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს ძალადობის განხორციელებას გარყვნილი ქმედების განხორციელების მიზნით. ჩადენას 16 წელს მიუღწევლად.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მამაკაცს 5-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობა ემუქრება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძალადობის განხორციელებას და მამაკაცისთვის წინასწარი შეცნობით თქვესმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ.

ქვემო ნიქოში, სტადიონზე მოზარდს დენმა დაარტყა

ქვემო ნიქოში, სტადიონზე მოზარდს დენმა დაარტყა. შემთხვევა გუშინწინ საღამოს მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მოზარდმა გონება დაკარგა მცირე დროით, თუმცა მას სამედიცინო დახმარება არ დასჭირვებია. სპორტული მოედანი, სადაც მოზარდს დენმა დაარტყა, სოფელში ახალი მოწყობილია.

კომპანიას, რომელმაც სტადიონი მოაწყო, ობიექტი მერიისთვის ჯერ არ ჩაუბარებია, რადგან ვადა 10 ოქტომბერს იწურება. სტადიონის ჩაბარებამდე, ობიექტი დაკეტილი იყო. ადგილზე ვითარებას გაეყენე გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებიც, საკითხს კომპანიასთან ერთად შესაბამისი სამსახურები შეისწავლიან.



გლდანში ჯგუფური მოკლადეები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ქალაქ თბილისის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გლდანში მომხდარი ძალადობის ფაქტზე, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით 6 პირი დააკავეს, – აღნიშნულია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. „დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული ე.ჩ., 1996 წელს დაბადებული ტ.ბ., 1988 წელს დაბადებული გ.ქ., 1989 წელს დაბადებული ლ.ა., 1997 მ.ს. და 1994 წელს დაბადებული მ.ა.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, გლდანში, ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ დეპუტატს და მის თანმხლებ პირებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულით მონაწილე 6 პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

პურის ფესტივალი ბოტანიკურ ბაღში

23-24 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით „პურის ფესტივალი“ მეთხედ გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ბოტანიკური ბაღის ქართული მარცვლოვანი კულტურების კოლექცია და საქართველოში მოქმედი პურის მწარმოებელი კომპანიების სარეალიზაციო პროდუქცია.

სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში პურის ცხობის მასტერ-კლასები ჩატარდა. დამთვალიერებელმა ორი დღის განმავლობაში იხილა შემეცნებითი ილუსტრაციები ხორბლის ქართული ენდემური სახეობების გავრცელების შესახებ, ასევე, წარმოდგენილი გახლდათ ღვინის



კუთხე, სადაც დაინტერესებული პირები ქართული ღვინის ისტორიას ეცნობოდნენ და სხვადასხვა სახეობის ღვინოს აგემოვნებდნენ.

ღვინის ისტორიის, ტრადიციული თემური სამოსი, ასევე, ძველი ისტორიული ფოტოები, რომელზეც ასახულია პურთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტები.

„პურის ფესტივალზე“ დამთვალიერებელმა შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ სხვადასხვა სახეობის ქართული პური, დასწრებოდნენ მესხური ქაღების, ცომის მომზადებისა და თონეში პურის ცხობის მასტერ-კლასს.

ფესტივალს მუსიკალურად გიორგი ცხადაძე, თავი კაკალაშვილი და ზენდი აფორმებდა. ღონისძიების დასასრულს გაიმართა სემინარი „ქართული ხორბლის კულტურა“...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 შავშავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა მამუკიძე
 597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომხდელი
 ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გინა გაბრიძიძე
გინა პლატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კიკელია,
მანია იორაბაშვილი,
ოპარატორი შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
 ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

რეალიტი უოუ იწყება

Squid Game (კალმარის თამაში), რომელმაც 2021 წელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი მიაჯაჭვა ეკრანებს, რეალიტი შოუს სახით მზუნდება. ახლა კი, იგივე სტრუქტურა პლატფორმა სერიალის მიხედვით გადაღებული რეალიტი შოუს ჩვენებას იწყებს.

Squid Game: The Challenge (კალმარის თამაში: გამოწვევა) 456 მონაწილეს სატელევიზიო სივრცეში უპრეცედენტოდ მაღალი ფულადი ჯილდოს, 44,56 მილიონის, ხელში ჩასაგდებად გააერთიანებს.

ცხადია, რეალიტი შოუ სერიალივით მრუტალური არ იქნება, თუმცა, გადაცემაში ანალოგიურ თამაშებს ვიხილავთ. სწორედ ამიტომ, გადასაღებ მოედანზე მონაწილეებს სერიოზული სამედიცინო დახმარება უნდა დასჭირდეთ. შოუში მონაწილეობის მსურველების ძიება ნეტფლიქსმა 2022 წლის ზაფხულში, მთელ მსოფლიოში დაიწყო. 456 შერჩეული მონაწილეს კი Squid Game: The Challenge რეალიტი ტელეშოუების ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ პროექტად მიიჩნევა.

კალმარის თამაში 2021 წლის შემოდგომაზე, გამოსვლიდან 25 დღეში, რეკორდი დაამყარა და 111 მილიონი ნახვით ნეტფლიქსის ყველაზე პოპულარული სერიალი გახდა. „კალმარის თამაშის“ რეჟისორს მისი შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2008 წელს გაუჩნდა, თუმცა, სანამ შეთავაზებას ნეტფლიქსს დათანხმდებოდა, სერიალის გადაღებაზე მას უნდა 10 წლის განმავლობაში ეუბნებოდნენ. Squid Game-ის მეორე სეზონს 2024 წელს ვიხილავთ.

ქალაქი
50 CENT-ის კონსერტზე იმუშობიარა

ეს ვაშინგტონის შტატში მოხდა. როდესაც ქალი ცუდად გახდა, მასთან არენაზე მორიგე ექიმები მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ ქალს მშობიარობა დაეწყო და მისი კლინიკაში გადაყვანის დრო არ იყო.

მედიკოსებმა ზეწრებით დარბაზის ნაწილი გადაკეტეს, რათა ქალისთვის შედარებითი კომფორტი შეექმნათ, რის შემდეგაც მან გოგო გააჩინა. დედა და შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ორივეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სიცილიაში ხანძარს ებრძვიან

ცნობილი კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, პალერმოსა და მესინას რაიონებში გაჩნდა. გავრცელებული ცნობით, სტიქიამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ასობით ტურისტი ევაკუირებულია. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ჯგუფები მუშაობენ.

მილოცვა
ნანა ჭიჭინაძეს!

ჩვენი სახელოვანი ოპერისა და ბალეტის თეატრის ქეშმარიტ მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს – 25 სექტემბერს!

ღმერთმა მშვიდობა და ჯანმთელობა მოგცეთ, დაუღლელო და კეთილო ქალბატონო!

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით, თბილისის მ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები:

მამუკა ასპანიძე,
არმაზ დარაშვილი,
მამუკა ლომიძე.

„ოფლია“ ჯოჯოხეთი მოაწყო

შეერთებული შტატების ადმოსავლეთ სანაპიროს ტროპიკული შტორმი „ოფელია“ დაატყდა თავს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ნიუ-ჯერსიში. გადაღებულმა წვიმამ და ძლიერმა ქარმა წყალდიდობა და მეწყერი გამოიწვია. გათიშულია ელექტრომომარაგება.

მეტეოროლოგურმა სამსახურმა სანაპირო რეგიონებში, ნიუ-იორკიდან სამხრეთ კაროლინამდე, საშტორმო განგაში გამოაცხადა.

მაგისტრალი მენუერმა გაანაღდურა

შვედეთში მეწყრის შედეგად ავტომაგისტრალი ჩამოინგრა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, სტიქია ღამით მოხდა. სტიქიის შედეგად ავტომობილების ნაწილი გზიდან გადავარდა.

შემთხვევა შედეგის სიდიდით მეორე ქალაქ გეტებორგისა და ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს დამაკავშირებელ გზაზე მოხდა.

მეწყრის შედეგად დაზიანდა 14 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ტერიტორია. მათ შორის ტყის მასივი, ბენზინგასამართი სადგური და რესტორანი. რამდენიმე ადამიანი მეწყრის ზონიდან მებანძრეებმა ვერტმფრენით გამოიყვანეს. სამი ადამიანი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. შედეგის სტატუსსპორტო ადმინისტრაციის ცნობით, სტიქია გადაღებულმა წვიმამ გამოიწვია. გეოლოგები მეწყრის გამეორებას არ გამორიცხავენ.

გამომცემელი:
 შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 36-00-35

იზაქაძეა სტამბა „კოლორი“
 ე. ბაღდაშაძის №3

კოლორი
 ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

ავტორთა საცხურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომღვაწე ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 სექტემბერს

	უხსოვრი პაუზის ქარსი: აპუ ფონარი - 2.6816; პირი - 2.8521; ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.2842; 100 რუბლი - 2.7819; თურქული ლირა - 0.0988; აპარატივანული მანათი - 1.5801; 1000 სომხური დრამი - 6.9382	აქონდი 25 სექტემბრისთვის აღმოსავლეთი სანაპირო: ბარი - ლამი +11, ლემ +25 შიონი რაიონი - ლამი +8, ლემ +20 დასავლეთი სანაპირო: ბარი - ლამი +16, ლემ +31 შიონი რაიონი - ლამი +11, ლემ +28 თბილისი: ლამი +16, ლემ +25	დაგვირეკეთ, მოგვწერეთ: ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
--	---	--	--